

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 80.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.
- თუ პასუხის გაცემისას დაარღვევთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, დაგაკლდებათ ქულა.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



საგნობრივი ცოდნა

ქართული ენა და ლიტერატურა

1. მეტყველების ნაწილების შესახებ ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მცდარი ?

- ა) ქართულ ენაში შორისდებული განცალკევებით მდგომი მეტყველების ნაწილია;
- ბ) ქართულ ენაში ხუთი მეტყველების ნაწილი ფორმაცვალებადია;
- გ) სრულმნიშვნელოვანია მეტყველების ნაწილი, თუ მას კითხვა დაესმის;
- დ) მეტყველების ნაწილებს შორის ხუთი სრულმნიშვნელოვანია.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გვხვდება მოცემულ ტექსტში:

„ – ტეხავს, – მხრები ჩამოყარა ახლად მოსულმა.

– ტეხავს და როგორც გენებოთ, მერე ჩემს წილს მე არ გაგიყოფთ, – ირონიულად გამოსცრა ყველაზე მაღალმა, წვეტიანი, თავისი ასაკისთვის შეუფერებელი ქუდი რომ ეხურა.

ტელევიზორში კი ვიღაც ქალი ყელმოღერებული მღეროდა გარდასულ ჟამთა ამაოებაზე.“

ა) ბარბარიზმი, ჟარგონი;

ბ) ჟარგონი, არქაიზმი;

გ) ჟარგონი, სკაბრეზული გამოთქმა;

დ) დიალექტიზმი, არქაიზმი.

3. ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაში არ გვხვდება კრებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული არსებითი სახელი?

ა) ხეებს ფოთოლი აღარ შეარჩინა წუხანდელმა გრიგალმა;

ბ) ცხვარი გზაზე მოძრაობას აძნელებდა, მანქანები გაშლილ ფარას გვერდს ვერ უქცევდნენ;

გ) გუდამაყრის მთებს ისეთი ნისლი აწვა, კაცი იფიქრებდა, აღარასდროს გამოიდარებსო;

დ) აყვავებულ ცაცხვს ფუტკარი ეხვია.

4. ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში დაშვებულია სხვადასხვაგვარი სტილისტიკური ხარვეზი. დაადგინეთ შესაბამისობა ხარვეზიანი ფორმით მოცემულ წინადადებებსა და ხარვეზის ტიპებს შორის. პასუხების ფურცელზე არსებულ ცხრილში წინადადების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ ხარვეზის ტიპის შესაბამისი ნომერი. გაითვალისწინეთ, ზოგიერთი პასუხი (ხარვეზის ტიპი) მეორდება.

- ა. მას ძალადობის კვალი ამჩნევია.
- ბ. პატარა მეგობრებმა დადეს აღქმა, რომ საიდუმლოს არ გათქვამდნენ.
- გ. ეს სახელმძღვანელო უკვე გაყიდვაშია.
- დ. აკაკიმ თავისი ავტობიოგრაფია აღწერა მოთხრობაში „ჩემი თავგადასავალი“.
- ე. შეშინებული ძაღლი კარებში გაილურსა.
- ვ. შეგროვებული თანხა გამოყენებულ იქნა ჰუმანიტარული მიზნებისათვის.

- 1. კალკი
- 2. ტავტოლოგია
- 3. პარონიმი
- 4. ატროფია

5. დაადგინეთ შესაბამისობა არასწორად დაწერილ კომპოზიტებსა და კომპოზიტების მართლწერის წესებს შორის. პასუხების ფურცელზე არსებულ ცხრილში არასწორად ჩაწერილი კომპოზიტის აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ რიგითი ნომერი მართლწერის იმ წესისა, რომელსაც ის არღვევს. გაითვალისწინეთ, კომპოზიტების მართლწერის 1 წესი ზედმეტია.

- ა. არე-მარე
- ბ. კაშ კაში
- გ. ზე-გავლენა
- დ. შავ წარბა

1. ერთად იწერება ისეთი ერთცნებიანი კომპოზიტები, რომლებშიც პირველი წევრი ზმნიზედა ან თანდებულია;
2. ერთად იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ფუძეში ბგერის შეცვლა ან დამატება ხდება;
3. ერთად იწერება ერთცნებიანი კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძე შეზრდილია არსებითი სახელის ფუძეს;
4. ერთად იწერება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია;
5. ერთად იწერება -ა სუფიქსდართული კომპოზიტები.

6. ქვემოთ მოცემულია ორი წინადადება, რომლებშიც ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი სხვადასხვა ფუნქციითაა გამოყენებული. გაეცანით წინადადების ნიმუშებს, ამოწერეთ ეს სიტყვა და ახსენით განსხვავების საფუძველი.

ა) ვაის გავყარე, ვუის შევეყარეო. ბ) ვაი, ეს რა დაგემართა, კახაბერ?!

(მაქსიმალური ქულა – 2)

7. ქვემოთ მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია რამდენიმე მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომა. ამოიწერეთ შეცდომით დაწერილი სიტყვები, მიუთითეთ სწორი ფორმა და პასუხი დაასაბუთეთ. თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში დაგაკლდებათ 1 ქულა.

ინათა თუ არა, თეონა მაშინვე სამზარეულოში შევიდა მისი საყვარელი ყავის მოსადუღებლად. სიამოვნებდა გვიან გაზაფხულის დილას განმარტობით ყავის წრუპვა და დიდებული, ჭახჭახა მზის ამოსვლის ყურება. სადაცაა პატარა ლევანიც გაიღვიძებდა და ჩვეული ტიტინით უკვე მერამდენედ უამბობდა დედას, როგორ მოუყვა მეგობარ ანას აგარაკზე დიდბაკნიანი კუს პოვნის ამბავი.

8. გაეცანით ორი ქართველი შემოქმედის ციტატებს. დაასახელეთ ეს ავტორები და იმსჯელეთ, რა მიმართებაა მოცემულ მოსაზრებებს შორის.

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

„...არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით!“

(მაქსიმალური ქულა – 2)

9. წაიკითხეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის „დათუნა“ ადაპტირებული ვერსია და შეასრულეთ 9.1 – 9.3 დავალებები:

დაბადების დღეზე მამამ დათუნას გეკოს თოფი მოუტანა. დათუნამ თოფს კარგა ხანს უყურა, მერე თავის საწოლთან დიდი ლურსმანი დააჭედა და ზედ ჩამოკიდა. მამა სიამოვნებით აკვირდებოდა ბიჭის განცდებს.

– მოდი, ჯერ თოფი მომიტანე, აგიხსნი, როგორ უნდა მოვლა, ხმარება.

დათუნამ კედლიდან თოფი ჩამოიღო, სულმოუთქმელად ადევნებდა მამის თითებს თვალყურს. „რას იტყვიან რეზო და ნოდარი, როგორ გაუკვირდებათ... მათაც ვასწავლი სროლას, მერე სანადიროდ წავალთ!“ მამა დინჯად განაგრძობდა ახსნას. დათუნა ოცნებამ გაიტაცა. ერთი სული ჰქონდა, თოფი ხელში აეღო.

– ჯერჯერობით თოფს მხოლოდ ერთად ვიხმართ.

– შენ რომ ხვალ მიდიხარ, მამა?

– კარგი, დაგიტოვებ, დღეს კი გასწავლი ხმარებას.

ორივენი აივანზე გამოვიდნენ. მამამ ჩახმახს გამოჰკრა. ვაშლი გაქრა. დათუნამ კი რამდენიმე ცდის შემდეგ მოარტყა ვაშლს ტყვია.

სალამოს დათუნამ „საიდუმლო კუნძული“ აიღო და ბაღში ჩავიდა საკითხავად. „რა ვაჟკაცი იყო ჰერბერტი? როგორ ეხმარებოდა თავისიანებს, თანაც მგონი ჩემი ტოლი იყო, ნეტა მე რას ვიზამდი იმის ადგილას. უნდა ვეცადო, ისეთივე ვაჟკაცი გავხდე. აი, მამამ თოფიც კი მიყიდა.“

მეორე დღეს დედამ და დათუნამ მამა სადგურზე გააცილეს. შინ დაბრუნებულმა ბიჭმა თოფი ჩამოიღო და მოიმარჯვა. იქვე ბლის ტოტზე გატიკნული ღობემძვრალა ქანაობდა.

– პც, – დაიძახა თოფმა. ჩიტი გაქრა. დათუნა ხისკენ გაიქცა.

„მოვარტყი!“ – უხაროდა პატარას. მერე მამის სავაზნე და საგუდავები ჩამოიტანა, რომელზეც მოკლული ჩიტი დაიკიდა. ჩიტების პატარა გუნდმა თავზე გადაუქროლა. მთელი საათი ნადირობდა პატარა დათო და შვიდიოდე ჩიტი ჩამოაგდო. ახლა იგი ნამდვილი მსროლელი იყო...

ბელურა ვაშლის კენწეროზე შემოჯდა და რხევა დაიწყო. ბიჭმა გადაწყვიტა, ეს ჩიტიც მოეკლა და მერე დაესვენა. ბელურა ყელმოდერებული იჯდა კენწეროზე. ბიჭმა დინჯად დაუმიზნა თოფი და გაისროლა.

ფრინველი უღონოდ დაეშვა ქვედა ტოტზე, დაჭრილი ჩანდა. დათუნას გააჟრჟოლა, თოფი კუთხეში მიაყუდა და სავაზნე, საგუდავებიანად, რომელზეც შვიდი ფრინველი ეკიდა, მოიხსნა. დახოცილი ჩიტების დანახვა აღარ ესიამოვნა. ახლა იგი ჩიტისკენ გაიქცა. „ცოცხალია! – შვებით ამოისუნთქა, – მაგრამ რაღაც არ იძვრის. ალბათ, დავჭერი, რაც გინდა იყოს, მოვარჩენ!“ – მისცა თავს პირობა, მერე დაიხარა და ფრინველი ხელში აიყვანა. მისი პატარა მკერდი ჩქარ-ჩქარა სცემდა. დათუნას გული შეეკუმშა, „ეს რა ვქენი?!“, – გაიფიქრა მან. ჩიტი ნაზად დასვა მაგიდაზე და წყალი მოუტანა.

„რა ბოროტი ვყოფილვარ, რა უსინდისო, რისთვის დავხოცე?! თუმცა ჰერბერტიც ხომ ხოცავდა, და სხვა მონადირეებიც, ვინც ვაჟკაცებად ითვლებიან.“ ამის მოგონებაზე ცოტა შვება იგრძნო. ჩიტი ხელში აიყვანა და ღობეზე დასვა. შემდეგ ისევ აივანზე დაბრუნდა და წიგნი აიღო, მაგრამ კითხვა ვერ შეძლო. თვალს ვერ ამორებდა ღობეზე მჯდარ ფრინველს. „მაინც რატომ ხოცავენ საწყალებს? მამაჩემიც ხომ ხოცავს. ნეტა არა რცხვენია? საწყალი ჩიტები, ნეტავ რად ხოცავენ ან რატომ ითვლებიან ვაჟკაცებად? მამა თვითონ ამბობდა, შენზე სუსტსა და პატარას არ სცემო“. ბიჭმა ძლივს დაუდო გული წიგნის კითხვას. მოთხრობილი იყო, ჰერბერტი როგორ გამოვიდა ფრინველებზე სანადიროდ. ახლა ამ ბიჭმაც ოდნავ დაკარგა მის თვალში პატივისცემა. გახედა ჩიტს, რომელიც უმწეოდ იყურებოდა. დათუნამ წიგნს თვალი მოაშორა და მზერა სივრცეში გადაიტანა. ქვევით სოფლის მტვრიანი გზა მოჩანდა, რომელზეც ურემი მიიზღაზნებოდა.

შეკითხვებზე გადასვლა: [9.1](#) [9.2](#) [9.3](#)

9.1 იმსჯელეთ, რამ უბიძგა დათუნას საკუთარი ღირებულებების გადაფასებისკენ. პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 1)

9.2 მიუთითეთ, რა შეუსაბამობა დაინახა ბიჭმა მამის ქმედებასა და მის მიერვე მიცემულ რჩევას შორის. ახსენით ამ შეუსაბამობის მიზეზი.

(მაქსიმალური ქულა – 2)

9.3 იმსჯელეთ, რატომ დაკარგა დათუნას წარმოდგენაში ჰერბერტმა პატივისცემა; ზოგადად, რა გავლენას ახდენს ბავშვზე საკუთარი თავის იდენტიფიცირება ნაწარმოების პერსონაჟებთან?

(მაქსიმალური ქულა – 3)

[დაბრუნება მოთხრობის I გვერდზე](#)

[დაბრუნება მოთხრობის II გვერდზე](#)

10. წაიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი და შეასრულეთ 10.1 და 10.2 დავალებები:

დაფიქრებული მივდიოდი ალაზნის ველად
და, აი, თვალწინ გადიშალა ლურჯი იორი:
მიეშურება ველთა შორის გაწოლილ გველად -
უფრო დიადი არ მინახავს რამ მაგიერი;

მაგრამ შვენებათ ციურთათვის მე არ მეცალა,
ვეშურებოდი თელავისკენ, რომ გაძარცული

ციხე-კოშკიდან საბურავი გადამეცალა
და ნანგრევებში დამენახა ჩვენი წარსული.

ვხეტიალობდი მთელი ღამე განწირულებით,
ჩუქურთმა თითქოს სიძველეთა იყო ხუნდები.
შორით მოსჩანდა დაღესტანი ნისლის ქულებით.
სამი დღის შემდეგ ისევ ტფილისს დავუბრუნდები.

10.1 ამოიწერეთ მეტაფორები I და II სტროფებიდან (თითო სტროფიდან - თითო) და იმსჯელეთ, რა მხატვრული დატვირთვა აქვს თქვენ მიერ შერჩეულ ტროპული მეტყველების თითოეულ ნიმუშს.

(მაქსიმალური ქულა – 2)

10.2 განმარტეთ ტაეპი „...ჩუქურთმა თითქოს სიძველეთა იყო ხუნდები.“ და იმსჯელეთ, როგორ უკავშირდება იგი მთლიანი ლექსის მხატვრულ იდეას.

(მაქსიმალური ქულა – 2)

მათემატიკა


11. ელენეს და ვანოს ერთად 24 ლარი აქვთ. თუ ელენე ვანოს 5 ლარს მისცემს, მაშინ მათ ტოლი თანხა ექნებათ. რამდენი ლარი აქვს ელენეს?

- ა) 7 ლარი;
- ბ) 11 ლარი;
- გ) 17 ლარი;
- დ) 19 ლარი.

12. ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობის პირველი წევრი 7-ის ტოლია, მეორე – 4-ის, ხოლო მესამე – 8-ის. მიმდევრობის ყოველი წევრისა და მისი მომდევნო სამი წევრის ჯამი 21-ის ტოლია. რის ტოლია ამ მიმდევრობის მე-12 წევრი?

- ა) 2-ის;
- ბ) 4-ის;
- გ) 6-ის;
- დ) 8-ის.

13. ტოლი კუბებისგან შეადგინეს ორი მართკუთხა პარალელეპიპედი (იხ. ნახატი). რამდენჯერ მეტია დიდი პარალელეპიპედის მოცულობა პატარა პარალელეპიპედის მოცულობაზე?



- ა) 2-ჯერ;
- ბ) 3-ჯერ;
- გ) 4-ჯერ;
- დ) 5-ჯერ.

14. ერთი ორნიშნა რიცხვის ათეულების ციფრი 2-ით მეტია ერთეულების ციფრზე, ხოლო მეორე ორნიშნა რიცხვი ჩაწერილია იმავე ციფრებით, ოღონდ შებრუნებული რიგით. რამდენით მეტია პირველი ორნიშნა რიცხვი მეორეზე?

ა) 9-ით;

ბ) 12-ით;

გ) 18-ით;

დ) ამის გასარკვევად მონაცემები არაა საკმარისი.

15. კინოთეატრში სკამები n -რიგადაა დაწყობილი. თითოეულ რიგში, გარდა პირველი ორი რიგისა, 18 სკამია, პირველი ორი რიგიდან თითოეულში კი მხოლოდ 14 სკამია. რის ტოლია ამ კინოთეატრში სკამების რაოდენობა?

ა) $14n + 28$

ბ) $14n - 8$

გ) $18n + 28$

დ) $18n - 8$

16. მოცემულია ორი წინადადება:

I. თუ კვირას მზიანი ამინდი არ იქნება, მაშინ ელენე სასეირნოდ არ წავა.

II. კვირას ელენე სასეირნოდ არ წავიდა.

გამომდინარეობს თუ არა ამ ორი წინადადებიდან, რომ კვირას მზიანი ამინდი არ იყო?

ა) გამომდინარეობს მხოლოდ პირველი წინადადებიდან;

ბ) გამომდინარეობს მხოლოდ მეორე წინადადებიდან;

გ) გამომდინარეობს ორივე წინადადებიდან ერთად;

დ) არ გამომდინარეობს მოცემული წინადადებებიდან.

17. გვაქვს მხოლოდ თითო 1, 5 და 7-კილოგრამიანი საწონი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენ კილოგრამიანი ნივთის აწონას ვერ შევძლებთ მხოლოდ ამ საწონების გამოყენებით თეფშებიან სასწორზე?

- ა) 3
- ბ) 4
- გ) 9
- დ) 11

18. ნატურალური m და n რიცხვების 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთები ერთმანეთისგან განსხვავებული კენტი რიცხვებია. რის ტოლია m და n რიცხვების ჯამის 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი?

- ა) 0-ის;
- ბ) 1-ის;
- გ) 2-ის;
- დ) 3-ის.

19. სიმბოლოთი * აღნიშნულია ერთ-ერთი არითმეტიკული მოქმედება: შეკრება, გამოკლება, გამრავლება, ან გაყოფა. ცნობილია, რომ $2 * 2 = 4$. რომელია მეტი, $3 * 5$ თუ $6 * 1$?

ა) $3 * 5$;

ბ) $6 * 1$;

გ) ერთმანეთის ტოლია;

დ) ამის გასარკვევად მონაცემები არაა საკმარისი.

მონაცემთა ანალიზი

წრიულ დიაგრამაზე მოცემულია 2010 წელს ერთ-ერთი ქვეყნიდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო წონის რა ნაწილი გადაზიდეს სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო თუ საჰაერო ტრანსპორტით.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 2 შეკითხვას:

შეკითხვებზე გადასვლა: [20](#) [21](#)

20. 2010 წელს ქვეყნიდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციიდან რამდენჯერ მეტი გადაზიდეს საავტომობილო ტრანსპორტით საზღვაო ტრანსპორტთან შედარებით?

- ა) 1,2-ჯერ;
- ბ) 1,5-ჯერ;
- გ) 1,8-ჯერ;
- დ) 2-ჯერ.

[დიაგრამის ნახვა](#)


21. 2010 წელს ქვეყნიდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო წონა 2 მილიონ 400 ათასი ტონა იყო. ამ პროდუქტიიდან რამდენი ათასი ტონა გადაზიდეს საჰაერო ტრანსპორტით?

- ა) 300
- ბ) 400
- გ) 500
- დ) 600

[დიაგრამის ნახვა](#)

22. მართკუთხა საკოორდინატო სისტემაში მოცემულია ABC სამკუთხედის AC გვერდი x -ღერძზე მდებარეობს, ხოლო AB და BC გვერდები ერთმანეთის ტოლია. ამ სამკუთხედის B და C წვეროების კოორდინატები მითითებულია ნახაზზე.

რის ტოლია A წვეროს კოორდინატები?



- ა) $(0; -2)$
- ბ) $(-2; 0)$
- გ) $(-3; 0)$
- დ) $(0; -3)$

23. მოცემულია დებულებები:

- ყველა მაღალმთიან რეგიონში თითოეული ტბის პირას იზრდება დეკა.
- ნეპალში ზოგიერთი ტბის პირას დეკა არ იზრდება.

თუ ეს დებულებები ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- ა) ნეპალში ზოგიერთი ტბა, რომლის პირასაც დეკა იზრდება, არაა მაღალმთიან რეგიონში;
- ბ) ნეპალში ზოგიერთი ტბა, რომლის პირასაც დეკა იზრდება, მაღალმთიან რეგიონშია;
- გ) დეკა მხოლოდ იმ ტბის პირას იზრდება, რომელიც მაღალმთიან რეგიონშია;
- დ) ნეპალში ტბები მხოლოდ მაღალმთიან რეგიონებშია.

24. თამარი, ლია, ზურაბი, ნიკა და გიორგი და-ძმანი არიან. თამარი 3 წლით უფროსია ზურაბზე, ლია 5 წლით უმცროსია თამარზე, ზურაბი 7 წლით უფროსია ნიკაზე, მაგრამ 6 წლით უმცროსია გიორგიზე. მათგან ყველაზე უფროსი 17 წლისაა. რამდენი წლისაა ნიკა?

- ა) 1-ის;
- ბ) 2-ის;
- გ) 3-ის;
- დ) 4-ის.

25. ცარიელ ცისტერნას, რომელშიც მაქსიმუმ 56 ტონა წყალი ეტევა, ავსებენ მილით. მილიდან ცისტერნაში ყოველ საათში 11-დან 12 ტონამდე წყალი ჩაედინება. ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ცისტერნის ავსებისთვის საჭირო დრო?

- ა) 4 სთ 35 წთ;
- ბ) 4 სთ 55 წთ;
- გ) 5 სთ 25 წთ;
- დ) 5 სთ 45 წთ.

26. ისრებიანი საათის წუთებისა და საათების მაჩვენებელ ისრებს შორის მახვილი კუთხის სიდიდე 60° -ზე ნაკლებია. ჩამოთვლილთაგან რა დროს შეიძლება აჩვენებდეს საათი?

I. 11:45

II. 12:10

III. 4:30

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.


27. მატარებელმა A და B ქალაქებს შორის მანძილი შეუფერხებლად, მუდმივი სიჩქარით გაიარა. 10 საათისთვის მატარებელს გავლილი ჰქონდა A და B ქალაქებს შორის მანძილის $\frac{1}{4}$ ნაწილი, ხოლო 11 საათისა და 30 წუთისთვის $-\frac{3}{4}$ ნაწილი. რომელ საათზე ჩასულა მატარებელი B ქალაქში?

პასუხი დაასაბუთეთ.

(მაქსიმალური ქულა – 3)

28. მოსწავლეებს შემდეგი სამუშაო შესთავაზეს:

- 1) გამოთვალეთ: I. $7964 - 2619 - 3281$ II. $314 \cdot 201$ III. $7200 : 180$ IV. $4228 : 14$.
- 2) ლანგარზე თავდაპირველად ნამცხვრის 8 ნაჭერი იდო. ეკამ ჯერ თითოეული ნაჭერი ოთხ-ოთხად დაჭრა, შემდეგ მიღებული ნაჭრებიდან ერთი ცალი შეჭამა. რამდენით გაიზარდა ლანგარზე ნამცხვრის ნაჭრების რაოდენობა თავდაპირველთან შედარებით?
- 3) კვადრატიდან, რომლის გვერდის სიგრძეა 7 სმ, ჩამოჭრილია კვადრატი, რომლის გვერდის სიგრძეა 3 სმ (იხ. ნახაზი).
რის ტოლია კვადრატის დარჩენილი ნაწილის ფართობი?



მომდევნო გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი მოსწავლის ნამუშევარი:

1) I. $7964 - 2619 - 3281 = 7964 - 5800 = 2164.$

II. $314 \cdot 201 = 6280 + 314 = 6594.$

III. $7200 : 180 = 720 : 18 = 40.$

IV. $4228 : 14 = 4200 : 14 + 28 : 14 = 30 + 2 = 32$

2) $8 \cdot 3 = 24.$ გაიზარდა $24 + 1 = 25$ -ით.

3) $7 - 3 = 4,$ $7 \cdot 4 = 28,$ $3 \cdot 4 = 12.$

კვადრატის დარჩენილი ნაწილის ფართობია $28 - 12 = 16$ კვ.სმ.

მიუთითეთ მოსწავლის მიერ დაშვებული თითოეული შეცდომა და დაწერეთ შესწორებული ვარიანტი.

(მაქსიმალური ქულა – 3)


ბუნებისმეტყველება

29. ილუსტრაციაზე რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული საკვებად ვარგისი სოკო?



A

დათვისსოკო



B

ცადამაყვანა



C

ბილწა



D

თავჭედილა

ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

30. რომელი ცხოველები ცხოვრობენ ჯგუფებად?

I – ჭიანჭველები

II – ვეფხვები

III – სპილოები

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

31. ჩამოთვლილი ეკოსისტემებიდან რომელია ბუნებრივი?

ა) ჩაის პლანტაცია;

ბ) ყანა;

გ) ბაღჩა;


დ) ალპური მდელო.

32. ილუსტრაციაზე რომელი რომაული ციფრით აღნიშნული ცხოველი სუნთქავს მხოლოდ ფილტვების მეშვეობით?



- ა) მხოლოდ I;
- ბ) მხოლოდ II;
- გ) მხოლოდ III;
- დ) II და III.

33. ილუსტრაციაზე გამოსახულია სხვადასხვა მცენარის ნაყოფი. რომელი ლათინური ასოთი აღნიშნული ნაყოფის გავრცელებაში მონაწილეობენ ცხოველები?



ა) A

ბ) B


გ) C

დ) D

34. რომელ დაავადებას იწვევს ვირუსი?


- ა) დიფტერიას;
- ბ) ტუბერკულოზს;
- გ) ჰეპატიტს;
- დ) შავ ჭირს.

35. რამდენით მეტია მარჯვენა მენზურაში სითხის მოცულობა მარცხენასთან შედარებით (იხ. ნახ.)?



- ა) 8 სმ³-ით;
- ბ) 12 სმ³-ით;
- გ) 16 სმ³-ით;
- დ) 18 სმ³-ით.

36. ჭიქაში მოათავსეს თოვლი, მასში ჩაუშვეს თერმომეტრი და დაიწყო ჭიქის გაცხელება. ყოველი წუთის შემდეგ იწერდნენ თერმომეტრის ჩვენებას. მიღებული შედეგების საფუძველზე ააგეს ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკზე რომელი მონაკვეთი შეესაბამება თოვლის დნობის დაწყება-დასრულებას?



- ა) AB
- ბ) BC
- გ) CD
- დ) DE

37. რას უდრის ადგილზე მანძილი ორ დასახლებულ პუნქტს შორის, თუ რუკის მასშტაბია 1 : 300 000 და მათ შორის მანძილი რუკაზე 5 სმ-ია?


ა) 150 მ;

ბ) 300 მ;


გ) 15 კმ;

დ) 30 კმ.

38. ქვემოთ მოცემული ხელსაწყოებიდან რომელია მზის საათი?



39. რომელი ციფრითაა სქემაზე აღნიშნული ვულკანის ფერფლი?




ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

40. რომელ ჩამონათვალია დალაგებული სწორად პეპლის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები (იხ. ილუსტრაცია)?

	<p>ა) $D \rightarrow B \rightarrow A \rightarrow C$</p> <p>ბ) $A \rightarrow C \rightarrow B \rightarrow D$</p> <p>გ) $D \rightarrow C \rightarrow A \rightarrow B$</p> <p>დ) $A \rightarrow B \rightarrow C \rightarrow D$</p>
---	---

41. დაადგინეთ შესაბამისობა პლანეტების დასახელებებსა და პლანეტების მახასიათებლებს შორის. პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში პლანეტების დასახელების აღმნიშვნელ ასოს მიუწერეთ პლანეტების მახასიათებლების შესაბამისი ნომერი (გაითვალისწინეთ, პასუხის გამეორება შესაძლებელია).

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	მერკური	1	მზის სისტემის პლანეტა, რომელსაც გააჩნია თანამგზავრი.
ბ	სატურნი	2	მზის სისტემის პლანეტა, რომელიც 2006 წლიდან რეკლასიფიცირებულია „ჯუჯა პლანეტების“ ჯგუფში.
გ	ვენერა	3	მზის სისტემის პლანეტა, რომელიც დედამიწის ჯგუფის პლანეტებშია გაერთიანებული.
დ	პლუტონი		
ე	ნეპტუნი		
ვ	იუპიტერი		

(მაქსიმალური ქულა – 1)

42. გაანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:

I



42.1. რა ზოგადი ნიშნით აერთიანებენ ერთ სისტემურ ჯგუფში ილუსტრაციაზე გამოსახულ ყველა ცხოველს?

(მაქსიმალური ქულა – 1)

II



42.2. რა ნიშნით არიან დაჯგუფებული ილუსტრაციაზე გამოსახული ცხოველები მწკრივებში?

(მაქსიმალური ქულა 1)

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

სოციალური კომპეტენცია განიხილება, როგორც ასაკის შესაბამისი ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება ადამიანს დადებითი ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაში. სოციალურად კომპეტენტურ ბავშვს შეუძლია იმის გაგება, რომ სხვა ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ მისგან განსხვავებული შეხედულებები, ემოციები, განზრახვები და სურვილები. ასევე, შეუძლია მას ქცევის, სიტყვების, სახის გამომეტყველების მიხედვით „წაიკითხოს“ სხვა ადამიანის შინაგანი მდგომარეობა და ამის გათვალისწინებით მართოს თავისი ქცევა. ბავშვებს, რომლებსაც კარგად აქვთ განვითარებული სოციალური უნარები, შეუძლიათ განზრახული მოქმედება გაარჩიონ არაგანზრახულისგან, ისინი არ ბრაზდებიან, თუ სხვა ბავშვი შემთხვევით გადააყირავებს მათ მიერ აგებულ კოშკს. სხვა ადამიანის შეხედულებების, ემოციების, განზრახვების გაგებისა და ამ ცოდნის სოციალური სიტუაციების სამართავად გამოყენების უნარს გონების თეორიას უწოდებენ.

გონების თეორიის შესწავლას არაერთი ექსპერიმენტი მიეძღვნა. ერთ-ერთ ასეთ ექსპერიმენტში ბავშვებს აჩვენებდნენ შემდეგი სიუჟეტის მქონე ფილმს: 1. ბავშვი, პირობითად ანა, თავის შოკოლადს ყვითელ ყუთში ინახავს და ოთახიდან გადის; 2. შემდეგ ოთახში შემოდის ანას დედა, შოკოლადს ყვითელი ყუთიდან იღებს და ათავსებს მას მწვანე ყუთში; 3. ანა ბრუნდება ოთახში და იწყებს თავისი შოკოლადის ძებნას. ექსპერიმენტში მონაწილე ბავშვებმა უნდა უპასუხონ შეკითხვას: „სად დაიწყებს შოკოლადის ძებნას ანა?“ აღმოჩნდა, რომ ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა. ეს შედეგი აიხსნება იმით, რომ 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას, იმის გაგებას, რომ შესაძლოა ადამიანს ჰქონდეს რეალობის შესახებ ცრუ წარმოდგენა.

შეკითხვებზე გადასვლა: [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#)

გონების თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარების დარღვევების პროგნოზის თვალსაზრისით. მაგალითად, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, ეს უნარი გვიან უვითარდებათ ან შეიძლება საერთოდ არ განუვითარდეთ. აუტისტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.

გონების თეორიასთან არის დაკავშირებული ბავშვების მიერ ტყუილის თქმა. კვლევების მიხედვით სწორედ 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები ცნობიერი ტყუილის თქმას. მაგალითად, გამიზნულად ტყუიან მაშინ, როცა უნდათ თავიდან აიცილონ დედის ან მასწავლებლის იმედგაცრუება. ამისგან განსხვავდება ადრეულ ასაკში ბავშვების მიერ გამოგონილი პერსონაჟების შესახებ შეთხზული ამბები, რასაც ხშირად მათ ცრუპენტელობას მივაწერთ, სინამდვილეში კი მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ რეალობის და წარმოსახვის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

კვლევების თანახმად გონების თეორიის უნარის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებები დაკავშირებულია ბავშვის სოციალურ კომპეტენციასთან, რაც უფრო უკეთ აქვს ბავშვს სოციალური უნარები განვითარებული, უკეთ შეუძლია სხვისი და საკუთარი ფიქრებისა თუ ემოციების გაგება.

შეკითხვებზე გადასვლა: [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#) [49](#)

43. რა მიმართებაა პირველი აბზაცის მესამე და მეოთხე წინადადებებს შორის?

- ა) მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილია მესამე წინადადებაში მოცემული მოსაზრების ილუსტრაცია;
- ბ) მეოთხე წინადადებაში მოცემული მაგალითი ახალ მნიშვნელობას სძენს მესამე წინადადებაში წარმოდგენილ მოსაზრებას;
- გ) მესამე წინადადებაში წარმოდგენილია მეოთხე წინადადებაში აღწერილი უნარის კონკრეტული გამოვლინება;
- დ) მესამე წინადადებაში მოცემულ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს მეოთხე წინადადებაში წარმოდგენილი მაგალითი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

44. მეორე აზნაცში აღწერილ ექსპერიმენტში 6-დან 9 წლამდე ბავშვების 86%-მა შეკითხვაზე - „სად დაიწყებს შოკოლადის ძეხნას ანა?“ - უპასუხეს:

- ა) მწვანე ყუთში;
- ბ) ყვითელ ყუთში;
- გ) არ დაიწყებს ძეხნას;
- დ) როგორც ყვითელ, ასევე მწვანე ყუთში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

45. მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „ერთ-ერთი კვლევის მიხედვით ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა“. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს აღნიშნული შედეგი?

- ა) 6-დან 9 წლამდე ბავშვების უმეტესობას ჯერ კიდევ არ შეუძლია იმის გააზრება, რომ ადამიანს რეალობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს;
- ბ) 6-დან 9 წლამდე ასაკში ბავშვებს უკეთ შეუძლიათ მოვლენების შესახებ სხვისი წარმოდგენების გაგება, ვიდრე 4-დან 6 წლამდე ასაკში;
- გ) 4-დან 6 წლამდე ბავშვების უმეტესობას უკვე შეუძლია გაიაზროს, რომ რეალობა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის წარმოდგენა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან;
- დ) 4-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 50%-ს, ხოლო 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 14%-ს სავარაუდოდ, განვითარების დარღვევა აღენიშნებოდათ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

46. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოგვადგეს არგუმენტად იმისა, რომ გონების თეორია სოციალურ უნარებთან არის დაკავშირებული?

- ა) გონების თეორიასთან არის დაკავშირებული ბავშვების მიერ ტყუილის თქმა. კვლევების მიხედვით სწორედ 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები ცნობიერი ტყუილის თქმას;
- ბ) 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას;
- გ) ადრეულ ასაკში ბავშვების მიერ გამოგონილი პერსონაჟების შესახებ შეთხზულ ამბებს მათ ცრუპენტელობას მივაწერთ, სინამდვილეში კი მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ რეალობის და წარმოსახვის ერთმანეთისგან გამოიჯვანა;
- დ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, გონების თეორია გვიან უვითარდებათ ან შეიძლება საერთოდ არ განუვითარდეთ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

47. მესამე აბზაცში ვკითხულობთ: „აუტიტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.“ ქვემოთ ჩამოთვლითაგან ამ წინადადების რომელი ილუსტრაციაა მართებული?

- ა) თუკი აუტიტმა ბავშვმა დაინახა, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, მას ჰგონია, რომ დედამ იცის, ვინ გატეხა ჭიქა;
- ბ) თუკი აუტიტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მისმა ძმამ დაინახა, მას ჰგონია, რომ ძმა ამის შესახებ დედას აუცილებლად მოუყვება;
- გ) თუკი აუტიტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მხოლოდ მისმა ძმამ დაინახა, ის ხვდება, რომ ამ „დანაშაულის“ პასუხისმგებლობა დედის წინაშე ორივემ უნდა გაიზიაროს;
- დ) თუკი აუტიტმა ბავშვმა დაინახა, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, ის ხვდება, რომ დედამ არ იცის, ვინ გატეხა ჭიქა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

48. რატომ შეიძლება მივიჩნიოთ ბავშვის მიერ ცნობიერი ტყუილის თქმა გონების თეორიის განვითარების ინდიკატორად?

- ა) ბავშვები ადრეულ ასაკში ცრუპენტელები არიან, მათ მოსწონთ ამბების შეთხზვა;
- ბ) ბავშვებს 4 წლამდე ასაკში უჭირთ რეალობისა და ფანტაზიის ერთმანეთისგან გამოიჯვნა;
- გ) ბავშვებს გამიზნულად თხზავენ ამბებს, იგონებენ პერსონაჟებს, რათა მიიქციონ უფროსების ყურადღება;
- დ) ბავშვები ითვალისწინებენ უფროსების აზრს, შეხედულებებს და რეალობის შესახებ სიმართლეს არ ამბობენ.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

49. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხი არ არის განხილული ტექსტში?

- ა) გონების თეორიის ექსპერიმენტული დასაბუთება;
- ბ) გონების თეორიის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისთვის;
- გ) გონების თეორიის განვითარების თეორიული ახსნა;
- დ) გონების თეორიის დეფიციტი განვითარების დარღვევის დროს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

50. ანალიტიკური წერა

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი პერსონაჟი თეიმურაზ ხევისთავი ამბობს:

„ცხოვრების მდინარეში აღმა ცურაობა გიჟების საქმეა. წყალს გაჰყევი, სამშვიდობოს გაგიყვანს.“

ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ:

„...კომფორტის ზონაში დიდი ხნით დარჩენას აქვს თავისი საშიშროებები – აქ შეიძლება თავი ისე კომფორტულად ვიგრძნოთ, რომ რაიმეს შეცვლის სურვილი აღარც კი გვქონდეს. მართალია, კომფორტის ზონაში შესაძლებელია ახალი გამოცდილების, ახალი ცოდნის მიღება, მაგრამ პიროვნული ფასეულობები და დამოკიდებულებები არასოდეს დგება კითხვის ნიშნის ქვეშ.“

გაიაზრეთ მოცემული ნაწყვეტები და იმსჯელეთ:

- რა მორალური დილემაა წამოჭრილი მოცემულ ნაწყვეტებში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს ზნეობრივი არჩევანი მასწავლებლებს სწავლა - აღზრდის პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზად?

მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.

(მაქსიმალური ქულა – 11)